№ 47 3 მარტი, შაბათი 1866—1879 3 მარტი, შაბათი № 47

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

უოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., [illegible] ცეროთი—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა — — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა — — — 1 „

პირველი მარტიდამ წლის დამლევამდინ 6 მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ტაშკენტი, 27 თებერვალს. იაკუბ-ხანი ავიდა ავღანის ტახტზე. ყურუმისკენ შელაჯის ტომმა დაამარცხა ორი ბატალიონი ინგლისის ჯარისა. ინგლისელებმა დასტოვეს ბარგი და გაიქცნენ; ავღანელები დაეცნენ ციხე ლაგმას, ჯალალაბადის ახლოს, აიღეს, დაანგრიეს და გაცარცვეს. ამ ციხის კომენდანტი შეკრული გაგზავნეს ქაბულს იაკუბ-ხანთან.

პეტერბურღი, 28 თებერვალს. „მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ხარკოვის გუბერნატორად დანიშნულია გროდნის გუბერნატორი, ღენერალ ფონ-ვალრუსსკი. „რუსის ინვალიდი“ გვაცნობებს, რომ თავ. ბარიათინსკის მიცვალების გამო ყველა ჯარებში სამი დღე შავები (ტრაური) უნდა ჩაიცვან, ხოლო ყაბარდის პოლკი და მეორე სტრელკოვი ბატალიონი—ცხრა დღე.

ვეტლიანკა, 26 თებერვალს. („გოლოსის“ დეპეშა). დღეს შეადგინეს აღწერა მთელი ვეტლიანკის მცხოვრებთა. კრასოვსკის ალაგას დანიშნულია რეიტლინგერი. დღეს მოვიდნენ საფრანგეთის დელეგატები ლალემანი და ბუბერი. 25 თებერვალს მოვიდნენ დანიის ექიმი ფალბერგი და დოქტორი სისალა ფინლანდიიდამ.

ადრიანოპოლი, 27 თებერვალს. „ახალს დროებას“ აცნობეს, რომ აქიდამ რუსის ჯარის გასვლის დროს მას გაჰყვა 20,000 მცხოვრები.

პეტერბურღი, 28 თებერვალს. გუშინ გამოეცხადა ხელმწიფე იმპერატორს ახალი ინგლისის ელჩი.

ვერსალი, 26 თებერვალს. კრებამ კანონიერად აღიარა ფურტუს ამორჩევა დეპუტატათ.

ლონდონი, 27 თებერვალს. ავღანიდამ მოვიდა ამბავი, რომ ინგლისის მაიოს კოვანიარს იაკუბ-ხანთან გაუგზავნია კაცი მორიგების თაობაზედ მოსალაპარაკებლად.

ტაშკენტი, 27, თებერვალს. ავღანის ელჩები გამოეთხოვენ ღენ. კაუფმანს და ქაბულში დაბრუნდნენ, რომ შირ-ალის სიკვდილის შემდეგ რუსეთსა და ავღანს შუა მეგობრული დამოკიდებულობა მოისპოეო.

ვეტლიანკა, 26 თებერვალს. გამოვიდა ბრძანება რომ ოსმალეთიდამ მოტანილი ყველან ნივთები უნდა დაიწვას. 42 სახლი უნდა დასწვან. დოქტორი მიხვალდი ამტკიცებს, რომ ჟამი აქეთკენ სპარსიდამ გამოსულაო.

საქართველო

ჯიქეთ-აფხაზეთის დასახლება

წინანდელს სტატიებში მკითხველს ვაცნობეთ, რა განზრახვითაც შესცქერიან რუსეთში ჩვენი შავი ზღვის კერძო ქვეყნების დასახლებას, შევატყობინეთ, რამდენათაც მოწადინებული არიან რუსეთის ფულიანი კაცები იმ ქვეყნებში ალაგების შესყიდვაზე და იქ რუსეთის ხალხის დასახლებაზე.

იმას გარდა რომ საშუალო რუსეთისა და ჩრდილოეთის გუბერნიები ერთიათად უფრო დაშორებული არიან ჯიქეთ-აფხაზეთზე ვინამც ჩვენი ქუთაისის გუბერნია, იმას გარდა რომ თვით ზღვის პირისა და მთის ჰავაც იქაურ ხალხისთვის აუტანელია, კიდევ ერთი დიდი დაბრკოლება აქვს იმათს გადმოსახლებას. რუსეთის ნიადაგზე ხალხის სიცოტავე. ნეტავ იმდენი იყოს ხალხი რომ იქაური უდაბური მინდვრებიც დაასახლოს. იქ ისე ბევრია მიწა, რომ თითო ვერსის სირგვლეზე 15 კაცის სულიც არ სახლობს და მომეტებულ ნაწილათ არის ისეთი გუბერნიები სადაც თითო ვერსის სირგვლეზე 6 კაცის სულიც არ მოდის.

ზოგიერთს გუბერნიებში, მაგალითად არხანგელის გუბერნიაში სამ ვერსის სირგვლე მიწაზე ერთი კაცის სულიც არ არის, ასტრახანის გუბერნიაში ერთ ვერსის სირგვლეზე 2 კაცის სულია, ვოლოგდის და ოლონეცის გუბერნიებში აგრეთვე 2 კაცის სული.

ზოგიერთი რუსის მწერლები, ამბობენ, რომ ჩრდილოეთის რუსეთის ხალხისათვის მართალია ჯიქეთ-აფხაზეთის ჰავა შეუფერებელიაო, მაგრამ მაგიერათ ჩვენ გვყავსო ყუბანის და დონის ყაზახები, რომელნიც ძალიან შეთვისებულნი არიან კავკაზიას ჰავაზე და უსათუოდ ისინიც უნდა დავასახლოთო. მაგრამ ყუბანის მაზრაში და დონზე კიდევ უფრო განიერათ ცხოვრებენ, ვინამც ზემოხსენებულს გუბერნიებში, ისე რომ რაც იქ მიწებია, კომლზე რომ გაანაწილოს კაცმა, თითო კომლს მოუვა უკანასკნელი ათასი დღიური მიწა. აბა, ამისთანა ხალხს თუ არ მათრახით და ძალათ, ისე ვინ გადმოასახლებს, ან ვინ მოინდომებს იქიდან წამოსვლას?

აბა ვნახოთ ახლა ჩვენი ქვეყნის ხალხის სიმრავლე და მიწის სივრცე.

უველაზე უფრო დაშენებული გუბერნია არის ქუთაისისა, სადაც თითო ვერსის სირგვლეზე მოდის 28 კაცის სული

ერევნის გუბერნიაში — 20 — —
ზაქათალის მაზრაში — 18 — —
დაღისტანში — — — 17 — —
თფილისის გუბერნიაში 17 — —
ბაქოს გუბერნიაში — 14 — —
განჯის გუბერნიაში — 14 — —
აფხაზეთში — — — 10 — —
თერგის მაზრაში — — 8 — —

მაგალითად ქუთაისის უეზდში საშუალო გამოანგარიშებით გლეხს სამი ქცევა მიწა აქვს სარჩენათ, რაჭაში კი ერთი ქცევა ნახევარიც არ მოუდის; მაშინ როდესაც რუსეთში სამ სულიანს გლეხს

უკანასკნელი თუთხმეტი ქცევა მიწა აქვს მიჩენილი სამუშაოთ. ცხადია, რომ ჩვენს ხალხს ერთი ათად უფრო ეჭირვება გაფართოვება და გასახლება, ვინამც რუსეთის ხალხს და თუ მაინც და მაინც ამტკიცებენ, რომ უსათუოდ ჩრდილო-კავკასიის მხარე რუსეთის ხალხით უნდა დასახლდესო, მაშინ ამნაირი სჯა სამართლიანს საბუთებზე კი არ არის დამყარებული, არამედ უფრო სხვანაირი მოსაზრება აქვთ მხედველობაში. მით უფრო გულს მოდგინეთ უნდა შევუდგეთ ყველა ჩვენის ქვეყნის გულის შემატკივარნი რომ შავი ზღვის ცარიელს ალაგებზე ჩვენი საწყალი სოფლის ხალხი, რომელსაც უმიწა-წყლოთ სული ამოსდის, გავსწიოთ იქით, სადაც უფრო განიერათ და ხალვათათ იცხოვრებს.

ბლოლოს ერთი ხარის დაწოლა ალაგი ორ თუმნათ ღირს, ესე იგი რამდენს ალაგზედაც ხარი დაწვება იმოდენა ცარიელი ალაგი ფასობს ამდენათ. რაჭაში ნახევარი დღის ვენახი სამას ოთხას თუმნათ გაყიდულა; ამაზე მეტი სივიწროვე და სიძვირე მიწისა მოხდება კიდევ სადმე?

ამიტომაც საჭიროა და ადვილი მოსახერხებელიც არის, რომ ჩვენი ქვეყნის გავლენისა და ფულის მქონი კაცები შეერთდებოდენ, შეადგენდენ ერთს დიდს აქციონერის საზოგადოებას ცარიელი ალაგების შესასყიდათ და იქ ჩვენი დაბალი ხალხის დასასახლებლათ. რადგან თვითონ რუსეთშიაც არის ამისთანა საქმისთვის ფულიანი კაცების საზოგადოება შედგენილი, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებას და ჩვენი ქვეყნის საადგილ-მამულო ბანკებს შეუძლიანთ შეუერთდენ იმათ; იყოლიონ ჩვენს ქვეყნებში, გუბერნიებში და უეზდებში აგენტები, რომ ყოველ ღონის-ძიებით შეაგონონ და გაუადვილონ გადასახლება ნაყიდ ცარიელ ალაგებზე იმავე წესით, როგორც ამერიკის დამსახლებელი საზოგადოება მოქმედებს.

ზემოხსენებულ საზოგადოებას შეიძლება დაერქვას „კავკასია—რუსეთის დამსახლებელი საზოგადოება,“ რომელსაც შეუძლია აქციებით რამდენიმე მილიონი დაატრიალოს ამ საქმისათვის. საზოგადოებამ უნდა მისცეს საკმაო ფული ყოველს გლეხს წასასვლელათ, გაუწყოს სახლ-კარი და შეიყვანოს ყოვლის ფრათ მოწყობილს გლეხის შესაფერს ახალს ოჯახში, იმ პირობით, რომ ყოველმა დასახლებულმა გლეხმა წლიურათ აძლიოს ერთი გადაწყვეტილი, ფულზე გადაჭრილი, გადასახადი ხანგრძლივის ვადით, ისე რომ გლეხმა თან-და-თან შეისყიდოს თავისი სახლ-კარი მიწა წყლიანათ, როგორც ახლა ყოველი მემამულე შვრება, რომელსაც ბანკში აქვს მამული დაგირავებული.

მე არ ვეჭობ, რომ ზემოხსენებულს საზოგადოებას ამით დიდი სარგებლობა მიეცემა და ორმოც და ათის წლის განმავლობაში აღუდგება ჩვენი ქვეყნის ცხოვრება /ანაკოფიიდან მოკიდებული მტკვრის შესართავამდის; მოგვესმება ქართულ-სომხური ენა, გაგვიცოცხლდება თვალ-წინ ის იდეალი, რომელიც ასე გვინათლებს გონებას, და ასე მხურვალეთ აგვიფეთქებს ხოლმე გულს ყოველთვის, როცა წავიკითხავთ დავით აღმაშენებლის და თამარ დიდებულის დროების ამბავს. მხნეობა, გამბედაობა, დაუღალავი შრომაა ახლა საჭირო ყოველს ჩვენთაგანისათვის და თუ ამაებს შევიძლებთ ბედიც ამათ მოყვება. გ. წერეთელი.

დღიური

** ბორიდამ გვწერენ, რომ უფ. ივა-ნოვსკი ყოფილა ამ ქალაქში და სამასწავლებლო სემინარია დაუთვალიერებია. სემინარიის დირექტორთან მოლაპარაკება ჰქონდა და გადაწყვიტეს, რომ მოწაფეებმა—ქართველმა თუ რუსმა—ქართული ენა უნდა ისწავლონო.

** 4 მარტს გაიხსნება ჩვეულებრივი კრება თავად-აზნაურთა თფილისის უეზდისა.

** გუშინდელ ნომერში ჩვენ ვაცნობეთ, რომ დეპუტაცია, რომელიც გამოგზავნა 28 (და არა 38, როგორ შეცდომით იყო დაბეჭდილი) ქობულეთის სახლობამ გამოეცხადა მთავარ-მართებელს. მისმა უმაღლესობამ მიიღო ეს დეპუტაცია დიდის წყალობით და დაჰპირდა მათ ყოველგვარ შემწეობას.

** ჩვენ გვწერენ ქუთაისიდამ, რომ რუსის გაზეთების რედაქციებმა გამოგზავნეს თავიანთი კორრესპონდენტები სტენაგრაფები ურიების საქმის თაობაზე.

** იქიდამვე გვწერენ, რომ ამ დღეებში ქობულეთელების სასწრგებლოთ ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ: „ტივით მოგზაურობას“,—ანტონოვის კომედია და „ბუტიაობას“,—ა. წერეთლის ვოდევილი.

ფელეტონი

როგორი სწავლა ანუ როგორი ცოდნა გვეჭირება ჩვენ?

(მუძღვნი საქართველოში წერა-კითხვის გავრცელების საზოგადოებას).

აწინდელ დროში ასე გახშირდა სხვა და სხვა ცოდნა, ასეთ წარმატებაში შევიდა ყოველი მათგანი სათითაოთ, რომ კაცმა არ იცის, რომელს მათგანს მოჰკიდოს ხელი, რომელს მათგანს მისცეს უპირატესობა და რომელს უფრო დაუდოს გული. ამიტომ ცოტა გავისარჯოთ და გამოვიკვლიოთ—რა ცოდნა უფრო გვეჭირება ჩვენ?

როდესაც ახალგაზდა კაცი გამოდის ცხოვრების ასპარეზზე, როდესაც იგი თითქმის სრულიად შთაინთქმება ამა ცხოვრებით, მაშინ მისი აწინდელი და მომავალი ცხოვრება მყარდება იმ საფუძვლებზე, რომლებსაც წინ წამოუჩერს თვით ყოველ-დღიური ცხოვრება. მაშასადამე სწავლის და აღზრდის დანიშნულება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მოამზადოს ყოველი ახალი თაობა ამ წინ-მდები ცხოვრებისათვის. ამავე მიზეზისაგამო, უპირველესი პირობა ამა სწავლისა და აღზრდისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ იგი არა გარემოებებისა გამო, არ გამოვიდეს იმ სფერიდამ, რათა არ გაიფანტოს და არ ჩაიფუშოს მიუღწეველ, გამოუკვლეველ და გაუგებარ უფსკრულში.

უმჯობესია, რომ სწავლა და აღზრდა გამოუდგეს იმას, რაც უფრო ნათლათ და მთლათ შაიძლება შეათვისოს თავის მოწაფეებს, ე. ი. მოამზადოს ახალი თაობა, დაახლოებით შესაძლებელ გარემოებებისათვის, რომელთა შორის მას (თაობას) მოუხდება შემდეგში ცხოვრება და მოქმედება. ის ქვეყანა, რომლის მოქალაქეთ უნდა აღიზარდოს ადამიანი, შემოზღუდულია საკუთარ; სხვა და სხვა წესებით, კანონებით, ცხოვრებით, რომელნიც თავიანთი საზოგადო წარმართვისათვის თხოულობენ, რამდენათაც ეს შესაძლოა, ყოველ მათის საჭიროებების ღრმათ შეჰსწავლას.

ის ქვეყანა, რომელშიაც ადამიანს არასოდეს არ მოუხდება ცხოვრება და არც მასთან მისვლა-მოსვლა, არ შაიძლება შეიქნეს შესწავლის საგნათ. მხოლოდ გარეშემო მყოფ საგნებისათვის და გარემოებებისათვის, უნდა მოამზადოს ადამიანმა თავისი თავი, და რამოდენათაც უფრო დაახლოებით შეკავშირებულნი იქნებიან მასთან ეს საგნები და გარემოებანი, იმდენათ უფრო ღრმა, ვრცელი და სწორი შეხედულობა უნდა შეიძინოს მათზე. თუ ადამიანი ხელს მოჰკიდებს იმ გვარ საქმეს, რომელსაც არ შაუძლიან მოერიოს, რომლისათვისაც იგი საკმარისად არ არის მომზადებული, იგი გახდება სათამაშოთ მასთან მყოფ პირებისა და ბევრს ზიანსაც ნახავს. იგი იქნება არა მ ფ ლ ო ბ ე ლ ი გარემოებებისა, რ ო მ ლ ე ბ ი ც უ ნ დ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ნ ი ი ყ ვ ნ ე ნ მ ა ს ზ ე, არამედ მათი საპრალო მ ო ნ ა.

ამ გვარი უბედურებებისაგან, ადამიანი შაიძლება დაიხსნას მხოლოდ შესაფერი მომზადებით წინამყოფ ცხოვრებისათვის, და აი ამ შესაფერ მომზადებაში უნდა მდგომარეობდეს უპირატესი მიზანი სწავლისა, როგორც კერძო ადამიანისა, აგრეთვე მთელი საზოგადოებისა, ხალხისა. აქ საქმე მხოლოდ იმაში გახლავს იმ ათას სწავლაში, რომელნიც ამ მიზნისათვის წარმატებით ამზადებენ ადამიანსა, რომელს მივსცეთ უპირატესობა?

გ. როსტომაშვილი

(დასასრული შემდეგ №-ში)

„დროების“ კორრესპონდენცია

რაჭიდამ, 24 თებერვალს. ამ თებერვლის 17-ს სოფლის იწრის მრევლში ისეთი შემთხვევა მოხდა, რომლის გამოცხადებას, არ ვ..თვლი ურიგოთ. აი რაშია საქმე. სოფლის იწრის შტატის ეკკლესიის მრევლი შესდგება ორის სოფლის მცხოვრებთაგან: თვით იწრისა და ახალსოფელისა. შტატის ეკკლესიას განაგებს მღვდელი სიმონ მაისურაძე.

ზემო-მოხსენებულს დროს ამ მღვდელმა აზიარა უმეტეს 150 სულისა. წირვის შემდეგ მ. მაისურაძე უცხადებს ხალხს, რომ ყველამ მოიტანონ თავ-თავიანთი სადილი ეკკლესიის გალავანში და იქ ისადილონ. ამაზედ ხალხი უცხადებს მღვდელს, რომ სხვა-და-სხვა გარემოებათაგამო მათ არ შეუძლიათ აასრულონ წინადადება მოძღვრისა; ხოლო სადილს თვითეული მათგანი მიართმევს მღვდელს იქ, სადაც დაუნიშნავსთ იგი. ამით გაჯავრებული მღვდელი იწყებს ლანძღვას მრევლისა და დასასრულ წარმოსთქვამს სასმენელად ყოველთა „ცეცხლად იქცეს ყველას სხეულში დღეს მიღებული წმინდა საიდუმლო!“

ეს სიტყვები აღძრავს შფოთს მრევლში და ხალხი უკმაყოფილო ბრუნდება სახლში.—მეორეს დღეს, კვირას, მღვდელი გაიტანს შტატის ეკკლესიიდამ სამკაულს იმ განზრახვით რომ სწიროს ახალსოფლის ეკკლესიაში. ამ გვარი მოქმედება მღვდლისა გაამქლავნებს იწრელებს და გაუგზავნიან მღვდელს მოციქულს, რომ მობრძანდეს იგი შტატის ეკკლესიაზე, სადაც უცდის მას მრევლი. მღვდელი უარს ამბობს და მასთანავე ლანძღავს მრევლს. ეს გარემოება გამოიწვევს შფოთს მცხოვრებთა შორის სოფ. იწრის და ახალსოფლისა, რომელნიცა შემდეგ ერთმანერთის სიტყვით დალანძღვისა შეეტაკებიან და ამ ჩხუბში დაილახებიან სასტიკად უმეტეს ორმოცის კაცისა. რაოდენიმე მათგანი მძიმედ დაჭრილნი არიან.

არ არის საჭირო გამოაშკარება ყოველისა მის, რამაც ასტეხა ჩხუბი. საკმაოა ითქვას, რომ მიზეზი ამისა იყო მღვდელი მაისურაძე, რომლის შფოთის მოყვარეობაზე ყველა დარწმუნებულია. დიდი სამწუხაროა ეს მოვლენა, მით უმეტეს, რომ ეს მოხდა იმ დღეს, როდესაც ეზიარა ხალხი და მოძღვარი ამ გვარს მაგალითს აჩვენებს ხალხს.

ბუშინ, პარასკევს, რომელიც ბაზრის დღეა, როდესაც ხალხით სავსე იყო მრთელი ონი, აქ უკეთესს მაგალითს კეთილზნეობისა ვხედავდით ბაზარში. მღვდელი ბობეჯიშვილი, ნასწავლი თფილისის სასულიერო სემინარიაში, დათრობილი იყო უგრძნობლად; ჯერ პოდვალში ეცემა ამხანაგებისათვის და შემდეგ გამოვარდა ხალხში და სცემდა ყველას, ვინც შეხვდებოდა. მაჩნდენ ისრეთები, რომელთაც გაიყვანეს ის ბაზრიდამ, მაგრამ სამოხ ისევ გამოქცევოდათ და ღამით ღრიებს შეხტომოდა სახლში, რომელთაც აიძულებდათ ამბობენ, რომ ეშოთ მისთვის ქალი.

ვა

ძალიან ცუდად იქცევიან აქ სამღვდელოები. მღვდელთ-მთავარმა ეს არ იცის და ადგილობრივი ზედამხედველი გულგრილად ეხება საქმეს, რადგან..

ძრამაგელი

თელავი. 29 თებერვალს.— დიდი ხანია რაც „დროებაში“ ჩვენს მიყრუებულს ქალაქზედ არა თქმულა რა; ამისთვისაც მე მსურს ცოტაოდნად თვალი გადავავლო აქაურს ცხოვრებას და წარუდგინო „დროების“ მკითხველებს:

ჩვენი თელავი იმ ქალაქთაგანია, სადაც ბუნებას უხვად დაუბერტყია თავის მოწყალების კალთა, და სადაც მცხოვრებთ სრულებით ვერ უსარგებლიათ ამით. ჩვენს ქალაქში იქნება ყველაფერი იყოს, მაგრამ ის კი არა, რაც კაცის ნაშრომს ეკუთნის და ამაღლებას კაცს ზნეობით და გონებით; ამიტომაც ჩვენ გვყავს სასულიერო წოდება, სამხედროსი სამოსამართლესი, სამეცნიერო და სამოქალაქო, მაგრამ... მაგრამ ისა რომ ჩვენ „მუშაკი“ არა გვყავს, რომელსაც ამ ბუნების მოხმარება შეეძლოს რიგიანად.

თუ გნებავთ, ესეცა გვყავს, მაგრამ ისეთი კი არა როგორიც შეჰფერის თელავს; არა ჩვენა გვყავს „მუშა“ გადაჯიშებული, გვარ შერეული, რომელიც სულ სხვანაირად მოქმედებას, ვინემ ნამდვილი მუშა. რომ ეს მართალია, დიდი დამტკიცება არა სჭირს, საკმაოა მცირედ განვიხილოთ თელაველების ცხოვრება და სრულიად დავრწმუნდებით აქაურების არა მუშაობას და არა კაცობასაც.

სანამ ჩვენ დავიწყებდეთ თელაველებზე ლაპარაკსა, საჭიროდ ვთვლი წარუდგინო მკითხველებს სია იმ საგანთა რომლებზედაც უნდა ვილაპარაკოთ, როგორც ვთქვი, ჩვენა გვყავს სასულიერო წოდება და მაშასადამე რიგია და მართებული პირველი ადგილი მივცეთ მათ ჩვენს წერილებში, როგორც სულიერთა მამათა.

ეხლა ვიტყვით მხოლოთ, რომ ეს სასულიერო პირნი განიყოფებიან ორ გუნდათ; ერთი გუნდი არის წარმომადგენელი იმ წყობილებისა, რომელიც სუფევდა აქამდინ, მეორეკი ახლისა. ამ ორ გუნდთ შუა არის გაცხარებული შეტაკება, თუ მალვივ და თუ ცხადივ მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ეტყობა რომელი უნდა გამოვიდეს ძ..ევა მოსილად.

კიდევ გვყვანან სამხედრონი და სამჯავრონი. ესენიც იყოფებიან რაზმებათ: ერთს რაზმს შეადგენენ „შტოსისტები“ მეორეს „სტუკოლისტები“ მესამეს „ლვინისტები“ და მეოთხეს „სუყველაისტები“ ამათგარდა კიდევ გვყვანან პედაღოღები და პედაღოღისტკები, ესენიც ნაგლეჯ ნაგლეჯ ეკუთვნიან სხვადა სხვა დასთა.

თელავის არისტოკრატებიც იყოფებიან ამ გვარადვე: ერთს ეკუთვნიან სამეუდამოდ მოქეიფენი, მეორეს—მეჭორენი და მესამეს—კარ-ჩაკეტილნი. ამ ხალხის გარდა თელავში არის კიდევ მეორე ხალხი, სრულიად განსხვავებული ამათგან, როგორც თვისის მოქმედებით, ისე ზნეობით და გონებით. ეს ხალხი გახლავთ თელავის მოქალაქენი. ეს მოქალაქენიც იყოფებიან ნამდვილ კარაპეტებად, გვარშარეულ კარაპეტებათ და მათ მახვერპლათ..

ი. ხ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

მართებლობამ წარუდგინა სენატს განდევნილების ამნისტიის პროექტი, რომელიც მიიღო ნაციონალურ კრებამ. სენატმა ჰყარა კენჭი და მიიღო ამნისტია. სენატორმა ვიქტორ ჰიუგომ ამ შემთხვევაში წარმოსთქვა მოკლე სიტყვა—თხოულობდა სრულს ამნისტიას, მაგრამ მისი წინადადება უკუგდებული იყო.

ალზას-ლოტარინგია

ალზას-ლოტარინგის წარმომადგენელთ შეაქვსთ გერმანიის პარლამენტში ავტონომიის (თვით-მართველობის) პროექტი. ამბობენ ვითომც ამ პროექტს პარლამენტში მრავალი მომხრე ჰყავს და თვით ბისმარკი ამის წინაალმდე არ არისო.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, რომ ამ წერილს, თქვენს პატივცემულს „დროებაში“ ალაგი დაუთმოთ და დაბეჭდოთ:

წარსული კვირის „დროების“ ნომერში მე წავიკითხე იმერეთიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია, შესახებ ნ. დადიანის ბიბლიოთეკისა, რომ მის ბიბლიოთეკაში სხვათა შორის არის ერთი ძველი ხელთნაწერი „ვეფხვის ტყაოსანი“ რომელშიაც ნახატებიც არისო, როგორც იძახის კორრესპონდენტი; რომ ეს „ვეფხვის ტყაოსანი“ ძალიან ძველი არისო და დარჩენია თ. ნინა დადიანისასაო.

კორრესპონდენტი ურჩევს და სთხოვს დადიანისასა, რომ ის „ვეფხვის ტყაოსანი“ გარდაეცეს უფ. ა. როინოვსაო: (ფოტოგრაფისტს), რომელიც სულითა და გულით ეძებს ამ გვარ ძველის ძველს სურათებსა, რომ გადაიღოს და გაავრცელოს ხალხშიო.

მე დიდს მადლობას ვუძღვნი იმ კორრესპონდენტს, ამ გვარი ამბის ცნობისათვის რომელიც ჩემთვის უძვირფასესს შეადგენს და აგრეთვე მივმართავ მის აღმატებულებას და ვთხოვ დიდის გულმოდგინებითა, რომ ის „ვეფხვის ტყაოსანი“ რამდენსამე დღეს დაგვითმოს და გამოგვიგზავნოს თბილისში ან „დროების“ რედაქტორის სახლობაზე ან ჩემი ფოტოგრაფიისა, სადაც იმ წიგნიდამ გარ-

დავიღებთ სურათსა და შემდეგ რამდენისამე დღისა დაუბრუნებ გაუფუჭებლივ დიდის მადლობითა და ჩემის ხარჯითა.

იმედი მაქვს, რომ ჩემს თხოვნას მისი აღმატებულება ყურადღებას მიაქცევს და ამ მოკლეს ხანში წიგნს გამოგიგზავნის.

ალექსანდრე როინაშვილი

ქ. თბილისს, 1879 წ. 2 მარტს

განცხადებანი

ნარდათა და წვრიმანი **ვაჭრობა თამბაქოსა და პაპიროზებისა**

„სულთანის“ ფირმისა (უფ. ნ. მამიკონოვისა) არის **შუა-ბაზარში ქურქჩისანაში.** ვინც ნარდათ დიდძალ საქონელს ჰყიდულობს, იმათ თამბაქო და პაპიროზები დადებულ ფასსზე ნაკლებათ დაეთმობათ. (3—1)

ხეხილების გაყიდვა

ბუნიბის მეიდნის ბალაგანში, ცირკის ახლო, ამ თებერვლიდამ **ისყიდება სხვა-და სხვა გვარი ხეხილები** იოსებ იაკობის ძის ილიაშვილის უარაიაზის მამულიდან მოტანილი. ამ ხეხილების სიდიდე არის არშინ-ნახევრიდამ ერთ საქენამდინ. თითო ისყიდება ორ აბაზათ. ეს ხეხილები დაყნულია სხვა-და-სხვა საუკეთესო ევროპიულ და აზიურ ხეებიდამ. (7—3)

თფილისის მოქალაქემ მიხეილ შაუვომმა შეიტანა თფილისის მთავარ-პოლიციმეისტერთან განცხადება, რომ მან ამ სამი თვის წინათ დაჰკარგა 500 მანეთის ბანკის ბილეთი № 834 და სთხოვა უფ. პოლიციმეისტერს, რათა მოახდინოს განკარგულება ამ ბილეთის მოძებნისა. (3—3)

მზრუნველი რჩევა თფილისის მიხაილოვის ტექნიკური და რკინის გზის სასწავლებელისა მიიღებს რა მხედველობაში, რომ ბევრი არიან მსურველები ამ სასწავლებელში შესვლისა და ამის გამო საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს, **რომ წელს ამ სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 16-ს** და გაგრძელდება **ვიდრე 1 ენკენისთვემდინ.**

ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, თხოვნა და ჯეროვანი დოკუმენტები ავვისტოს 1 რიცხვიდამ უნდა წარუდგინოს სასწავლებლის ზედამხედველს.

სასწავლებელში შესვლისათვის შემდეგი პირობებია საჭირო: 1) თერთმეტ წელიწადზე ნაკლებისა და ჩვიდმეტზე მომეტებულის არ უნდა იყვეს, 2) უნდა იყოს რუსის ქვეშევრდომი და 3) ისეთი რამ სხეულის ნაკლულევანება არ უნდა ჰქონდეს, რომ რკინის გზაზე სამსახური დაუშალოს.

პირველს (მოსამზადებელს) კლასში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: **სამღვთო წერილიდამ** — უმთავრესი ლოცვები; **რუსულ ენიდამ** — თავისუფლად კითხვა, წაკითხულის თქმა, თავის სიტყვით წერა სხვისი თქმით (დიდი შეცდომებით არ უნდა სწეროს) და **უბრალო** წინადადების ახსნა (როგორც სამოქალაქო შკოლებში მეორე წელს იციან); **არითმეტიკიდამ** — უნდა იცოდეს უფრო ციფრები, პირველი ოთხი მოქმედება.

ამ სასწავლებელში შაგირდებს შეუძლიანთ პურის-ჭამა: თვეში 4 მანეთად და 50 კაპ. შაგირდს მიეცემა მუდამ დღე სადილი და საუზმე.

(3—3)

„ჰაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

მ. ჯორჯაძისა

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიკოგა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაეერდოვის ბაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება:**

ალმანახი

შედგენილი

ბ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ოორი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; **„რძალი, ვული და მაშენიკები“**—**თფილისში:** ბრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: ბიორგი ბარათოვთან, **ბორში:** ზაქარია დონდაროვთან, **ცხინვალში:** თ. ვანო თაქთაქოვთან, **საქაშეთს:** თ. ნიკო დიასამესწინ **მეჯვრისხევს:** მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, **ქუთაისს:** კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და **დ.** ბოკერიასთან, **სამტრედიას:** იორდანე სიხარულიძესთან, **ფოთში,** ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია. — **„ოოლი ვიტირო, თუ ფული?“**

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75
ფოჩტა		
ა) **თფილისიდამ:** სამზღვარ გარეთ, **ქუთაისს, რუსეთს**— ყოველ დღე კვირას გარდა. **ზუგდ. ორშ.** და **ხუთშ. ოზურ.**—**პარასკ.** და **ორშ. ქალეთს**—**სამშ.** და **შაბ.** ბ) **ქუთაისიდამ: თფილისისა** და **ფოთისაკენ**— ყოველ დღე, კვირას გარდა. **ოზურგეთს**—**ორშ.** და **პარასკ.**		
წიგნის გაგზავნა რუსეთში		**კაპ.**
ლია წიგნის		4
დაბეჭდილის (ბამი მისხალი) .		8

ბაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 2 **მარტს.**		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	10
ბამბა ერევანისა, ფუთი .	7	50
— **ამერიკისა, ფუთი** . .	8	60
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9	70
მატყლი თუშური ფუთი .	6	60
— **თარაქამისა ფუთი** . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	80
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	55
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
— **ცხვრისა, ლიტრა** . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	45
— **ფხვნილი ფუთი** . . .	5	60
ყავა ბრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ხაშურული ფუთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, **წინამძღვაროვის** სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ **ყოველს** დღე დილის 9 **საათიდამ** 1-**მდინ.**

ოროშაბათს: ვერმიშევი და ბარლეევიჩი—**შინაგ. ავათ.,** ბიუზარიანც—**ქალის ექიმი** და **საშვილოსნოს ოპერაციები.**

სამშაბათს: ვერმიშევი—**შინაგ.** ა. ბახუტოვი—**საბებიო** და **ბავშვის.** პეუნოვი—**თვალის.**

ოთხშაბათი: ვერმიშევი **შინაგანი ავათმყოფობის.**

ხუთშაბათს: ვერმიშევი—**შინაგ.,** ბიუზარიანცი—**სიფილიტიკური** და **საშარდე ორგანების.**

პარასკევს: ვერმიშევი-**შინაგ.,** ა. ბახუტოვი—**საბებიო,** ქალისა **და ბავშვების.**

შაბათს: ვერმიშევი **შინაგ.,** **და** პეუნოვი—**თვალისა.**

Дозволено цензурою: Тифлисъ 2 Марта 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.